

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2018 წლის 3 იანვარი

დაბა ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 აგვისტოს №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 აგვისტოს №28 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/08/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.35.107.016260) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობათა რანგები, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)	საშტატო რიცხოვნობა
პოლიტიკური თანამდებობის პირი			
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700	1
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350	5
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350	
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1100	
I რანგი (მაღალი მმართველობითი დონე)			
6	საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1000	1
II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)			
7	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	790	1
8	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	790	1



9	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	790	1
10	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საფინანსო-საბიუჯეტო, აგრარულ, ქონების მართვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი	790	1
III რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
11	საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560	2
12	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560	1
13	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560	1
14	საკრებულოს აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო, აგრარულ, ქონების მართვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560	1
IV რანგი (უმცროსი სპეციალისტის დონე)			
15	საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	530	1
სულ		11	

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 3 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

